წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №27

ქ.წალენჯიხა 2017 წლის 26 დეკემბერი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: მაია მიქავა, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ლუკავა, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 15: 40 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის სახელით სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გიორგი ლუკავა - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის სახელით სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერის პირველმა მოადგილემ გიორგი ლუკავამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა. ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი -0) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 67)
ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**